

## გაზიარე შენი სოფლის ისტორია

### წარმატების ისტორიის გაზიარების სახელმძღვანელო

მიზანი:

- სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხილვადობის გაზრდა.
- სოფლად ახალი და ინოვაციური გადაწყვეტის გზების დემონსტრირება.
- სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების მოტივირება.
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოვლენა და ჩვენება.
- პროექტების გეოგრაფიული მდებარეობის წარმოჩენა და პოპულარიზაცია.
- ისეთი პროექტების იდენტიფიცირება, რომლებსაც ინოვაციური მიდგომებით შეუძლიათ შთააგონონ მომავალში, სხვა, სოფლად მცხოვრები საზოგადოების წევრები და ხელი შეუწყონ [სოფლის განვითარების პოლიტიკის გრძელვადიანი ხედვის](#) მიღწევას.
- დაინტერესებულ მხარეთა შორის ცოდნის ურთიერთგაცვლისა და კავშირების წახალისება.
- სოფლის განვითარების საზოგადოებრივი ქსელის მისიის მხარდაჭერა.

წარმატების ისტორიების კატეგორიები:

1. **მწვანე მომავლის სოფელი:** პროექტები და ინიციატივები, რომლებიც კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციას, ზემოქმედების შერბილებისა და მდგრადი მიდგომების დემონსტრირებას ახდენენ და ხელს უწყობენ მწვანე განახლებას სოფლად.
2. **ციფრული მომავლის სოფელი:** პროექტები, რომლებიც, ფერმერულ საქმიანობასა და სოფლად ციფრული ტექნოლოგიების, ციფრული სერვისების და ფართოზოლავანი ინფრასტრუქტურის მდგრადი გამოყენებით მიღებული სარგებლის დემონსტრირებას ახდენენ ან ხელს უწყობენ ამ მიმართულებით ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას.
3. **მყარი მომავლის სოფელი:** პროექტები, რომლებიც ადგილობრივი ან ეროვნული გამოწვევებიდან, აგრეთვე, შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხელს უწყობენ აღდგენას და/ან გრძელვადიან ეკონომიკურ გამძლეობას, განამტკიცებენ სოფელს და ბიზნესს.
4. **სოციალურად ინკლუზიური და ინოვაციური მომავლის სოფელი:** პროექტები, რომლებიც სოციალური ინოვაციების გზით ხელს უწყობენ გენდერულად დაბალანსებული და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას და მეწარმეობას სოფლად.

პროექტები:

- პროექტი უნდა იყოს დასრულებული, გამონაკლის შემთხვევებში, დემონსტრირებას ახდენდეს მიმდინარე პროექტის გავლენას ან წარმატების გადაცემის პოტენციალს.
- წარმატების ისტორიის წარმოდგენა შეიძლება მხოლოდ სოფლის განვითარების საზოგადოებრივი ქსელის / პოლიტიკის წარმმართველი უწყების მეშვეობით.
- **წარმოადგინეთ წარმატების ისტორია და დასვით კითხვა მისამართზე: [stories@grdn.ge](mailto:stories@grdn.ge)**

## გაზიარებული მუშის ისტორია

### ფორმა

**თემატური კატეგორია**

გთხოვთ მიუთითოთ მხოლოდ ერთი თემატური კატეგორია

**პროექტის/ინიციატივის სათაური**

**მუშის ისტორიის გაზიარების მიზეზი**

გთხოვთ მოკლედ მიუთითოთ რატომ უნდა მოხდეს ისტორიის გაზიარება, რა არის მისი დამატებითი ღირებულება, რა არის მასში განსაკუთრებული. (მაქს. 100 სიტყვა)

**პროექტის მოკლე აღწერა**

გთხოვთ მოკლედ მიუთითოთ რაზეა პროექტი, კერძოდ, (1) რა შესაძლებლობა დაინახეთ და (2) რა იყო/არის პროექტის მთავარი აქტივობა. (მაქს. 100 სიტყვა)

**კონტექსტი**

რატომ იყო/არის პროექტი საჭირო? გთხოვთ, აქ არ მიუთითოთ მიზანი და გაამახვილოთ ყურადღება მხოლოდ კონტექსტზე. (მაქს. 300 სიტყვა)

**მიზნები**

ზემოთ მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით და მის საპასუხოდ, პროექტით რის მიღწევას იმედოვნებდით? გთხოვთ, აქ არ მიუთითოთ დაგეგმილი აქტივობები. (მაქს. 100 სიტყვა)

**აქტივობები**

რა გააკეთა პროექტმა (ან აკეთებს) და რა თანმიმდევრობით განახორციელა აქტივობები. თუ შესაძლებელია, მიუთითეთ ვალები; ვინ/რომელი დაინტერესებული მხარე იყო (არის) ჩართული, რა იყო ამის მიზეზი და როგორ მიუდგა პროექტი თითოეულ აქტივობას. (მაქს 500 სიტყვა)

**შედეგები**

რა შედეგს მიაღწია პროექტმა (ან მიღწევას გეგმავს მიმდინარე პროექტის შემთხვევაში), რა შეიცვალა (ან შეიცვლება) და როგორ უკავსება არსებულ საჭიროებებს? (მაქს. 350 სიტყვა)

**პირდაპირი სარგებელი:**

მაგ. სამუშაო ადგილების შექმნა, გარემოს დაცვა, კონკურენტული ბაზარი, პოლიტიკის მხარდაჭერა, მდგრადობა, ა.შ.), გაუმჯობესება/პროგრესი ხარისხობრივად და ციფრებში.

**კავშირების გაძლიერების სარგებელი:**

მაგ. კავშირი სხვა პროექტებთან, მუნიციპალიტეტებს შორის, დაინტერესებულ მხარეთა შორის, ქსელის მიზნებსა და პრიორიტეტებთან.

**პროექტის/ინიციატივის სინერგია სახელმწიფო სტრატეგიებთან / კონტრიბუცია:**

მაგ. [სოფლის მურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის მიზნის და ამოცანის](#) ხელშეწყობა, ერთზე მეტი მიზნის/ამოცანის ხელშეწყობა, სახელმწიფო სხვა სტრატეგიების მიზნების და ამოცანების ხელშეწყობა.

**გავრცელების პოტენციალი:**

გააჩნია თუ არა პროექტს სხვაგან განხორციელების პოტენციალი? მაგ. გეოგრაფიული, დარგობრივი, ორგანიზაციული ბიზნეს მოდელი.

**ინოვაციური ასპექტები:**

მაგ. ინოვაცია ადგილობრივ კონტექსტში, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროცესების, სერვისების, პროდუქციის და/ან ტექნოლოგიების დანერგვა.

**ახალგაზრდების ინტეგრაცია და მხარდაჭერა:**

გთხოვთ, აღწერეთ როგორ ჩართო ახალგაზრდები პროექტმა და რა გავლენა იქონია მათზე.

**ზოგადი ინფორმაცია**

პროექტის/ინიციატივის სათაური	
მუნიციპალიტეტი	
დაწყების და დასრულების თარიღი	
ბენეფიციარის ტიპი (ფერმერი, მეწარმე/კომპანია, NGO, სხვა.)	
პროგრამა	

**დაფინანსება ლარში**

მთლიანი ბიუჯეტი	
პროგრამით გათვალისწინებული	
საკუთარი თანამონაწილეობა	
სხვა წყაროები	

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ბენეფიციარის სახელი/ორგანიზაცია	
საკონტაქტო პირი	
ელ ფოსტა	
ტელეფონი	
მისამართი	
სხვა საკონტაქტო ინფორმაცია	

**დამატებითი ინფორმაცია**

ვებ-გვერდი	
დამატებითი ინფორმაციის წყაროები, ბმულები	

**ფოტო და ვიდეო მასალა**

--